

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სოფ. ოზურგეთის
მაჟორიტარი დეპუტატის, ფრაქცია „ქართული ოცნება - სოციალ დემოკრატები“-ს
თავმჯდომარის მოადგილის ვლადიმერ ლლონტის 2018 წელს გაწეული საქმიანობის
შესახებ ანგარიში**

წინამდებარე ანგარიში შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად და იგი მოიცავს პერიოდს 2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ვეყრდნობოდი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით საკრებულოს წევრისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს. საკრებულოს წევრი გავხდი პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წარდგინებით.

2018 წელს მონაწილეობა მივიღე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომებში 15-ჯერ რომელზედაც მიღებული იქნა 60-ნორმატიულ სამართლებრივი აქტი -დადგენილება და 91 -ინდივიდუალური აქტი განკარგულება.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას ვანხორციელებდი საკრებულოს ორ მუდმივმოქმედ კომისიებში: 1).აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია. 2). სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია. სულ დავესწარი 39-ჯერ.

2017 წლის დეკემბრიდან ვიყავი ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი დავესწარი ფრაქციის 7 სხდომას. ხოლო 2018 წლის ივნისის თვიდან გავხდი ფრაქცია „ქართული ოცნება - სოციალ დემოკრატები“-ს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე და დავესწარი ფრაქციის 5 სხდომას.

როგორც საკრებულოს წევრს შეხვედრები მქონდა ამომრჩევლებთან (მოქალაქეებთან) ყოველთვიური გრაფიკის შესაბამისად სულ 14-ჯერ . ასევე მოქალაქეთა მიღებები ყოველთვიური გრაფიკის შესაბამისად 22-ჯერ. ამომრჩევლების (მოქალაქეების) მოთხოვნები ძირითადად შეეხებოდა სოციალურ დახმარებებს და სოფლის ინფრასტრუქტურას.

სოფელ ოზურგეთში, მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელთან ერთობლივი მუშაობით, მოგვარებული იქნა სოფლისთვის საჭირობო როტო საკითხები. კერძოდ:

1. შემოიღობა და გაიწმინდა სოფლის სკოლის სტადიონის მიმდებარე ტერიტორია.
2. მოხრეშვითი სამუშაოები გაუკეთდა სოფლის შიდა გზებს 2კმ-ის ფარგლებში.
3. გარკვეულ უბნებში გასუფთავდა და გაკეთდა სანიაღვრე არხები.
4. გარემონტდა და კოსმეტიკური სამუშაო ჩაუტარდა სოფლის საბავშვო ბაღს.

5. წესრიგში იქნა მოყვანილი ქუჩის ღამის განათებები.

6. სოფლის მეურნეობის კუთხით წარიმართა წამლობის ღონისძიებები ყველა უბანში.

7. სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს გადავეცით თუნუქი და ხის მასალები სახლის გადასახურად.

აქტიურად ვიყავი ჩართული საკრებულოს მიერ მისაღებ სამართლებრივ აქტების განხილვა დამტკიცებაში რომელიც აისახება ჩემს მიერ საკრებულოს კომისიებსა და საკრებულოს სხდომებზე დასწრებით.

და ბოლოს მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს ყველა წევრს აქტიური თანამშრომლობისათვის და საკრებულოს აპარატს. მე, როგორც საკრებულოს წევრი, ვაგრძელებ აქტიურ მუშაობას, როგორც საკრებულოში ასევე ამომრჩეველთა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი

სოფ. ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატი,

ფრაქცია „ქართული ოცნება - სოციალ დემოკრატები“-ს

თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ლლონტის

14.02.2019 წ.